პროგრამული ანგარიში

ორგანიზაციის სახელწოდება: საქართველოს სასოფლო დარბაზი
პროექტის სახელი: "სამოქალაქო მონიტორინგი მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებისთვის"
გრანტის ნომერი: G00832
საანგარიშო პერიოდი: 01.01.2021 – 30.04.2021
ანგარიშის წარმოდგენის თარიღი: 14.05.2021

1. **პროექტის პროდუქტები და შედეგები პროექტის ამოცანებთან მიმართებაში**

ამოცანა 4. შერჩეული ა.ი.პ.-ების პერსონალისათვის შესაბამისი უნარ-ჩვევების გადაცემა საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით.

<u>პროექტის პროდუქტი: შერჩეული 3 მუნიციპალიტეტის 9 აიპ-ის წარმომადგენლებისთვის კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და რაოდენობრივი კვლევების ორგანიზების 3 ტრენინგი</u>

მონიტორინგის პროცესით საქართველოს სასოფლო დარბაზმა მიზნად დაისახა სამიზნე ა.ი.პ.-ებისათვის საქმიანობის გაუმჯობესებას და მათ მიერ მიწოდებული სერვისების ეფექტურობის ამაღლება. ამისათვის პროექტის ფარგლებში სამიზნე ა.ი.პ.-ების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

- მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათების მომზადება (2 დღე);
- ეფექტური კომუნიკაციისა და პრეზენტაციის მეთოდები (2 დღე);

საერთო ჯამში 4-4 დღე თითოეულ მუნიციპალიტეტში.

ტრენინგები გაიმართა ლანჩხუთში, ხაშურში და სენაკში. თითოეულ ტრენინგს დაესწრო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში აიპ-ის 12 წარმომადგენელი, სენაკში 10 და ხაშურში 12 სულ 34 მონაწილე, ორივე ტრენინგს სულ - 68 მონაწილე. ტრენინგები ჩაატარა პროექტის დირექტორმა ამირან გიგინეიშვილმა.

<u>პროექტის შედეგი: 3 მუნიციპალიტეტის 9 აიპ-ის თანამშრომლებს გაეზარდათ ცოდნა და უნარ-ჩვევები კომუნიკაციის, პრეზენტაციისა და რაოდენობრივი კვლევების ორგანიზების საკითხებში</u>

ტრენინგის შედეგად მუნიციპალური აიპ-ბის თანამშრომლებმა იციან და სამომავლოდ დამოუკიდებლად შეძლებენ მათ მიერ მიწოდებული სერვისებით მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხის კვლევასა და ანალიზს, ბენეფიციარებთან ექნებათ უფრო ეფექტური კომუნიკაცია და მეტად ხარისხობრივად წარუდგენენ ანგარიშს.

შედეგის მიღწევის ინდიკატორები	საწყისი მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	არსებული მაჩვენებელი	რით დასტურდება შედეგის მიღწევა? (დოკუმენტური მასალა)
ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	0	6	6	დამსწრეთა სია
ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა	0	60	68	დამსწრეთა სია
მათ შორის ქალი	0	65%	75%	დამსწრეთა სია
მონაწილეთა დადებითი გამოხმაურებების რაოდენობა	0%	75%	100%	ანკეტების ასლები

<u>პროექტის პროდუქტი: სენაკის მუნიციპალიტეტის 3 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 1 მუნიციპალურ არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის საზოგადოებრივი მონიტორინგის წარმართვა</u>

სამიზნე ა.ი.პ.-ში, მონიტორინგის პროცესის დაწყებამდე, ჯგუფის წევრებმა, ჯერ კიდევ პროექტის დასაწყისში მათთვის ტრენინგის მიმდინარეობის ბოლოს, პროექტის დირექტორთან და სენაკის და ლანჩხუთის რეგიონულ კოორდინატორებთან ერთად დეტალურად დაგეგმეს მთლიანი პროცესი, რათა გარანტირებული ყოფილიყო მაქსიმალური შედეგი. აქტივისტები ცალ-ცალკე დაიყვნენ კონკრეტული აიპ-ის მონიტორინგის ჯგუფის წევრებად. პირველ ეტაპზე თითოეული აიპ-ის ხელმძღვანელთან განხორციელდა პროექტის დირექტორისა და შესაბამისი რეგიონის კოორდინატორის ვიზიტი. ვიზიტის დროს მათ ხელმძღვანელებს დეტალურად გააცნეს პროექტის მიზნები და ამოცანები. უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობითი ურთიერთობა უპრობლემოდ ჩამოყალიბდა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად და წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე, სენაკის სამი სამიზნე და ლანჩხუთის ერთი აიპ-ბისაგან გამოთხოვილი იქნა მონიტორინგის ჩასატარებლად და დასკვნებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად საჭირო საჯარო ინფორმაცია. ინფორმაციის მიღებაზე რაიმე პრობლემა არ დაფიქსირებულა.

<u>ცალკე უნდა აღინიშნოს სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების შემთხვევა.</u> გარდა საზოგადოებრივი მონიტორინგისა, ამ შემთხვევაში ასევე უნდა ჩატარებულიყო ბაღების გაერთიანების ბენჩმარკინგის ანალიზი. სამწუხაროდ, პანდემიის გამო გაერთიანებამ ვერ მოახერხა ბენჩმარკინგის ანალიზის საკმაოდ მოცულობითი 27 კითხვარის შევსება. ჯერ კიდევ დარჩენილია 6 ბაღის კითხვარი, თუმცა, პროცესი მიმდინარეობს და ეს ანალიზი გაერთიანებას ავტომატურად მიეწოდება ანკეტების ბაღების ანალიზის სისტემაში ატვიტთვისთანავე. ანალიზისთვის გაერთიანება ჩავრთეთ და საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი მივანიჭეთ სისტემაში: www.benchbase.somee.com . სისტემაში ატვირთულია და ანალიზის საშუალებას იძლევა გაერთიანების ბაღების ფინანსებისა და მშობელთა კმაყოფილების ხარისხის კითხვარები. დაინტერესების შემთხვევაში: მომხმარებლის სახელი: guest პაროლი: guest

მონიტორინგის თითოეულმა ჯგუფმა პროექტის დირექტორთან და რეგიონულ კოორდინატორთან მოამზადა წერილობითი ანგარიშები ოთხივე შემთხვევაში.

მონიტორინგის ანგარიშები და ბაღების გაერთიანების შემთხვევაში, ასევე ბენჩმარკინგის ანალიზი ოფიციალური წერილების საფუძველზე მიეწოდათ შესაბამის აიპ-ებს.

<u>პროექტის შედეგი: წარიმართა სენაკი მუნიციპალიტეტის 3 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 1 მუნიციპალური არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის საზოგადოებრივი მონიტორინგი</u>

მონიტორინგის ჯგუფების მიერ მომზადებული დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე აიპ-ებს შესაძლებლობა აქვთ გაუმჯობესონ საკუთარი სერვისი მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად. რისთვისაც ა.ი.პ.-ების მიერ მომზადდება სამოქმედო გეგმა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად;

შედეგის მიღწევის ინდიკატორები	საწყისი მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	არსებული მაჩვენებელი	რით დასტურდება შედეგის მიღწევა? (დოკუმენტური მასალა)
სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებისთვის მომზადებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შედეგების რაოდენობა	0	1	1	მონიტორინგის დოკუმენტი
სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისთვის მომზადებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შედეგების რაოდენობა	0	1	1	მონიტორინგის დოკუმენტი
სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრისთვის მომზადებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შედეგების რაოდენობა	0	1	1	მონიტორინგის დოკუმენტი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის მომზადებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შედეგების რაოდენობა	0	1	1	მონიტორინგის დოკუმენტი

ამოცანა 4. შერჩეული ა.ი.პ.-ებისათვის, მათ მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათების (Citizen Service Card) მომზადება, სამიზნე აუდიტორიასთან კვლევის ჩატარება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება.

<u>პროექტის პროდუქტი: სენაკის მუნიციპალიტეტის 3 და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 1</u> შერჩეული ა.ი.პ.-თვის, მათ მიერ საზოგადოებისათვის მიწოდებული სერვისების გაუმჯობესების მიზნით მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათების (Citizen Service Card) მომზადება, სამიზნე აუდიტორიასთან კვლევის ჩატარება და შესაბამისი ანგარიშის მომზადება.

სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრისთვის, სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებისთვის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის საქმიანობისა და სერვისების გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით მომზადდა მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათები და ჩატარდება იმ ბენეფიციართა კვლევა, რომლებზეც ვრცელდება მათი სერვისი. რაც შეეხება, სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებას, ამ შემთხვევაში გამოვიყენეთ ონლაინ ანალიზის სისტემის, www.benchbase.somee.com მშობელთა კმაყოფილების კვლევის ანკეტები.

მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათების სამუშაო ვარიანტი ა.ი.პ.-ების წარმომადგენლებისათვის ჩატარებულ ტრენინგზევე გამოიცადა.

კვლევის ჩატარება, მისი ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება უზრუნველყო სსდ-მ, რეგიონში მოქმედი და არასამთავრობო ორგანიზაციების მოხალისეების დახმარებით.

კითხვარი შედგება ა) შესავალი ნაწილისაგან, სადაც მოკლედაა აღწერილი კვლევის მიზნებისა და კვლევის ჩამტარებელი ორგანიზაციის შესახებ. ბ) დემოგრაფია - რესპოდენტის დემოგრაფიული მონაცემები. გ) აიპ-ბის ცნობადობის იდენტიფიცირების ნაწილი. დ) პრობლემების იდენტიფიკაციის ნაწილი. არსებული პრობლემები, საპროექტო იდეები. ე) ინფორმაცია გადაწყვეტილების პროცესით რესპოდენტის დაინტერესების შესახებ. კითხვარში გამოყენებული იქნება კი და არა, ღია და დახურული კითხვები, მათი კომბინაცია, წინასწარი და შემდგომი კოდირება, სკალირება, გამოტოვება და მატრიცა;

<u>საკვლევი ჯგუფის შერჩევის განსაზღვრა.</u> კვლევა ჩატარდა ოთხივე აიპ-თვის. სულ გამოიკითხა 320 რესპოდენტი (თითოეული ა.ი.პ-ისათვის 80 რესპოდენტი).

<u>ანალიზი და რეკომენდაციები:</u> შევსებული კითხვარების ანალიზი სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის, სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის შემთხვევაში განხორციელდა სტატისტიკური კვლევების პროგრამა SPSS-ის მეშვეობით, ხოლო „ბაღების“ შემთხვევაში ანკეტები შეტანილი იქნა ონლაინ ანალიზის სისტემაში, www.benchbase.somee.com , სადაც ავტომატურ რეჟიმში განხორციელდა ანალიზი. საბოლოო ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები შემუშავდა პროექტის დირექტორის და რეგიონული კოორდინატორების მიერ ერთობლივად.

პროექტის ფარგლებში შემუშავდა და „ბაღების გაერთიანებას“ მიეწოდა აღსაზრდელთა აღრიცხვის **სისტემა „KidMan v2.0”.** ეს პროგრამული უზრუნველყოფა შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს აღსაზრდელთა პიროვნული აღრიცხვა, მოხდეს

გაერთიანების ან კონკრეტული ბაღის ბავშვების ანალიზი სქესის, ასაკის, შშმ სტატუსისა და განსაკუთრებული საჭიროებების მიხედვით. ეს პროგრამული უზრუნველყოფა გამოყენებადია ნებისმიერი მუნიციპალიტეტისთვის და სურვილის შემთხვევაში მივაწვდით მათაც. საინსტალაციო პაკეტის გადმოწერა შესაძლებელია აქედან: საინსტალაციო: https://mega.nz/folder/KVtAxZgC#EtFPFPvchpyMcd1yGvAk8Q , სასწავლო ვიდეოები https://mega.nz/folder/uBUQyDxQ#wockSSvChf7D8So1BUT7oQ . მომხმარებლის სახელი: 1, პაროლი: 1

<u>პროექტის შედეგი: ხაშურის მუნიციპალიტეტის სამ შერჩეულ აიპ-ში განხორციელდა ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევა (მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათი) და დასკვნები და რეკომენდაციები მიეწოდათ სამიზნე აიპ-ებს გასათვალისწინებლად</u>

შედეგის მიღწევის ინდიკატორები	საწყისი მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	არსებული მაჩვენებელი	რით დასტურდება შედეგის მიღწევა? (დოკუმენტური მასალა)
სულ შემუშავებული კვლევის ანკეტები	0	4	4	ანკეტების ნიმუშები
სულ გამოკითხულთა რაოდენობა სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების შემთხვევაში	0	80	80	ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები
სულ გამოკითხულთა რაოდენობა სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრის შემთხვევაში	0	80	80	ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები
სულ გამოკითხულთა რაოდენობა სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების შემთხვევაში	0	80	80	ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები
სულ გამოკითხულთა რაოდენობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის შემთხვევაში				ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები
სულ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევები	0	4	4	ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები
შემუშავებული პროგრამული პროდუქტი „KidMan v2.0”	0	1	1	„სქრინშუტები“, საინსტალაციო პაკეტი.

2. რისკები, გამოწვევები და შესაძლებლობები

სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებამ სიტყვიერად მოგვმართა თხოვნით ოფიციალურად მიგვემართა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის ნებართვის ასაღებად მუნიციპალიტეტის მერისთვის და მისი თანხმობის შემთხვევაში მოგვაწვდიდნენ საჯარო ინფორმაციას. 😊 ცხადია, მერმა დაუყოვნებლივ გასცა ეს ზეპირი (!) განკარგულება და შესაბამისად ინფორმაცია მივიღეთ (იხილეთ ჩვენი წერილი მერისადმი) . სხვა რაიმე ხელშეშლას (თუ ეს ფაქტი ხელშეშლად შეიძლება ჩაითვალოს) ადგილი არ ჰქონია.

3. **პროექტის განხორციელების გეგმა მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის**

საანგარიშო პერიოდი: 1 მაისი, 31 აგვისტო 2021 წ.

მაისი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შერჩეული აიპ-ის მონიტორინგის პროცესის წარმოება	წარმოდგენილია მონიტორინგის ანგარიში როგორც მედიისთვის, ასევე კონკრეტულად აიპ-თვის	• მონიტორინგის ანგარიშის ასლი
	შერჩეული აიპ-ის მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათის წარმოება	წარმოდგენილია კვლევის ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები	• ბარათის ნომუში • ანალიზის , დასკვნებისა და რეკონენდაციების დოკუმენტი
ივნისი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შერჩეული აიპ-ის მონიტორინგის პროცესის წარმოება	წარმოდგენილია მონიტორინგის ანგარიში როგორც მედიისთვის, ასევე კონკრეტულად აიპ-თვის	• მონიტორინგის ანგარიშის ასლი
	შერჩეული აიპ-ის მოქალაქეთა ანგარიშგების ბარათის წარმოება	წარმოდგენილია კვლევის ანალიზი, დასკვნები და რეკომენდაციები	• ბარათის ნიმუში • ანალიზის , დასკვნებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი
ივლისი	ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის მონიტორინგის შედეგების ამსახველი სამი საგაზეთო ჩანართის მომზადება და ტირაჟირება	პარტნიორი მასმრდიის საშუალების, „ხაშურის მოამბეს“ ჩანართში გამოქვეყნდება 3 მუნიციპალური აიპ-ის სამოქალაქო მონიტორინგის შედეგების ანგარიში	• სამი ჩანართის ნიმუში
	სამუშაო შეხვედრა ხაშურის 3 აიპ-ის ხელმძღვანელობასთან	ჩატარებულია სამუშაო შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტის 3 სამიზნე აიპ-ის ხელმძღვანელობასთან მათთვის მონიტორინგის შედეგების გასაცნობად	• შეხვედრის მონაწილეთა სია • ფოტოსურათები
	სენაკის მუნიციპალიტეტისთვის მონიტორინგის შედეგების ამსახველი სამი საგაზეთო ჩანართის	პარტნიორი მასმრდიის საშუალების, „კოლხეთის“ ჩანართში გამოქვეყნდება 3 მუნიციპალური აიპ-ის სამოქალაქო მონიტორინგის შედეგების ანგარიში	• სამი ჩანართის ნიმუში

	მომზადება და ტირაჟირება		
	სამუშაო შეხვედრა სენაკის 3 აიპ-ის ხელმძღვანელობასთან	ჩატარებულია სამუშაო შეხვედრა სენაკის მუნიციპალიტეტის 3 სამიზნე აიპ-ის ხელმძღვანელობასთან მათთვის მონიტორინგის შედეგების გასაცნობად	• შეხვედრის მონაწილეთა სია • ფოტოსურათები
აგვისტო	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის მონიტორინგის შედეგების ამსახველი სამი საგაზეთო ჩანართის მომზადება და ტირაჟირება	პარტნიორი მასმრდიის საშუალების, „ჰო და არას“ ჩანართში გამოქვეყნდება 3 მუნიციპალური აიპ-ის სამოქალაქო მონიტორინგის შედეგების ანგარიში	• სამი ჩანართის ნიმუში
	სამუშაო შეხვედრა ლანჩხუთის 3 აიპ-ის ხელმძღვანელობასთან	ჩატარებულია სამუშაო შეხვედრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 3 სამიზნე აიპ-ის ხელმძღვანელობასთან მათთვის მონიტორინგის შედეგების გასაცნობად	• შეხვედრის მონაწილეთა სია • ფოტოსურათები
	დასკვნითი პრეზენტაცია ხაშურში	ჩატარებულია პროექტის დასკვნითი პრეზენტაცია 30 მონაწილეზე	• შეხვედრის მონაწილეთა სია • ფოტოსურათები
	დასკვნითი პრეზენტაცია სენაკში	ჩატარებულია პროექტის დასკვნითი პრეზენტაცია 30 მონაწილეზე	• შეხვედრის მონაწილეთა სია • ფოტოსურათები
	დასკვნითი პრეზენტაცია ლანჩხუთში	ჩატარებულია პროექტის დასკვნითი პრეზენტაცია 30 მონაწილეზე	• შეხვედრის მონაწილეთა სია • ფოტოსურათები

ვადასტურებ: